ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგერი

№4 (12) აპრილი, 1996 წ. დამოუკიდებელი გაზეთი. ფასი 10 თეთრი

დანიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის 1996 წლის 10 აპრილის ბრძანებით ცაგერის რაიონის პროკურორად დანიშნულია ბატონი **მურმან ბენდელიანი**, რომელიც ქ. ქუთაისის პროკურატურის განყოფილების პროკურორად მუშაობდა.

ბატონი **მურმან ბენდელიანი** უმაღლესი განათლებითაა, იურისტი დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჰყავს მეუღლე და 2 შვილი.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრის ვალერი გიორგობიანის ბიუროს თავმჯდომარედ დანიშნულია ბატონი ზურაბ ხეცურიანი. იგი უმაღლესი განათლებითაა. აქვს მუშაობის დადებითი გამოცდილება. უცოლშვილოა.

* * *

პარლამენტის მთავარ სპეციალისტებად დანიშნული არიან ომარ ჭაბუკიანი და აკაკი ჩიქოვანი, სპეციალისტად—ლევან ნემსიწვერიძე.

ტყე შევუნახოთ შვილებსა!

ჭორი გორავდა და გორავს ახლაც: ტყე ლეჩხუმში უმოწყალოდ გაიჩეხა და სახარჯებლო მერქანი რაიონს გარეთ გაიზიდაო: ხელი ერთმაც მოითბო და მეორემაცო. ეს შეიძლება მწარე სინამდვილეც იყოს და მტკნარი სიცრუეც. მაგრამ დავანებოთ დღეს თავი ვინმეს გასამართლებას, ცოდვების გადაბრალებას, წაქცეულების ცემას, მოჭრილის ხელმეორედ მოჭრას. ცხოვრება ბრძენია და ყოველთვის დღევანდელს ირჩევს გადასაწყვეტად, მხოლოდ პრაქტიკულ საქმეს აყენებს მომავლის სამსახურში.

ქალაქის ღვარცოფისაგან დაცვისა და საერთოდ, მისი შემოგარენის მწვანე საფარის გაზრდის მიზნით ერთ დროს კატეგორიულად აიკრძალა ქალაქის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მუხრანის ტყეში ხის მოჭრა, მთლიანად გატყევდა გველეშპრის, პიპულვაკის ფერდის, ურწყულამისა და გვესოს ციხის მიმდებარე ტერიტორიები. აჭრა აიკრძალა სოფელ გვესოს ჩრდილოეთით არსებულ მუხნარში, ჭიქელაშის, ლაღვაშისა და თეთრიღელის მუხნარებსა და ბუჩქნარკორომებში. გველეშპრის ტერიტორია მთლიანად დაიფარა მწვანე ფიჭვნარით. ერთი სიტყვით— შეიქმნა ნაკრძალის ტიპის უზარმაზარი მწვანე ზონა თავისი ფლორითა და ფაუნით.

მოვიდა ნგრევა და განუკითხაობა, დაიწყო მწვანე საფარის განადგურება: მწვანეებმა ცოდვები კომუნისტებს გადააბრალეს, იარაღიანი ვაცი წინ აღუდგა პატიოსან მეტყევეს და ჩააჩუმა. უპატიოსნო მეტყევე კი გვერდში ამოუდგა ბუნების მტერს. ყველაფერი ერთ ნებას დაემორჩილა—პირადულს: ჯერ დაავადდა უპატრონოდ მიტოვებული ფიჭვი, შემდეგ უმოწყალოდ გაიჩეხა; მოსახლეობამაც იდროვა და უპატრონობის საბურველში გახვეულმა დაუნდობლად დაიწყო მთელს

„მწვანე ველი" ინგრევა და ნადგურდება

ტერიტორიაზე ტყის გაჩეხვა. მხოლოდ ერთის შელავათით—თითქოს არ იჭრება მუხა, იჭრება მხოლოდ წიფელი და რცხილა; სასაცილო არგუმენტად მოყვანილი ეს „თეორია", თუ სატირალი არ არის!

ყოველივე ამის შემდეგ ქალაქის თავზე გაჩნდა ხახადაღებული ურჩხული—წამლეკავი ყოვლისა და ყველაფრისა; გაჩნდა ჩახერგილ—ჩანაგვიანებული, ნახევრად ტანში გადაჭრილი ხეთა კორომები, მოტიტვლებული, უბალახო გორები და ფერდობები, ბოსტნები, ბოსტნები, ბოსტნები (ლაპარაკია გველეშპარაზე); შეიძლება საშიშროება, ამოქმედდეს როგორც ერთმა ღმერთივით კაცმა ბრძანა, „ცაგერის კიბო"—ბოგირის ღელე კეჩნარიდან ჭიქელაშამდე და ამას რა შედეგიც მოჰყვება—ყველას მოეხსენება.

უპასუხისმგებლობის შედეგი ნათლად ჩანს, მაგრამ ვინმეს ხომ არ ჰგონია პრაქტიკულად დაიწყო ბრძოლა მისი ლიკვიდაციისათვის? რა თქმა უნდა არა პირველ რიგში ეს ეხება სახელმწიფო სატყეო მეურნეობის შრომით კოლექტივს—ჩვენ მას პირდაპირ მივმართავთ: თქვენმა წინამორბედებმა ღირსეულად მოიხადეს ვალი—ქალაქის შემოგარენში ზღაპრული „მწვანე ველი" შექმნეს; მთლიანად თქვენ ვერ დაგაბრალებთ, მაგრამ ხომ ფაქტია, რომ თქვენი და ჩვენი თვალისწინ ეს საოცრება გაქრა. ახლა ჯერი კვლავ თქვენზეა. მაგრამ არა მარტო თქვენზე—საზოგადოებრიობაზე!

გაზეთის რედაქცია თხოვნით მიმართავს ქალაქის ყველა მცხოვრებს, ინტელიგენციას, საკრებულოს ხელმძღვანელობას, ეკოლოგიის სამსახურსა და პოლიციას, ყველას, ყველას, ვისთვისაც ქალაქს რაიმე ფასი აქვს, ვინც ფიქრობს მის მომავალზე, ადამიანის ჯანმრთელობაზე, ხმა აიმაღლონ ქალაქის ღვარცოფისაგან დაცვისა და მისი შემოგარენის მწვანე საფარის აღდგენისათვის.

იუბილარი

რესპუბლიკის კულტურის დამსახურებულ მუშაკს, ომისა და შრომის ვეტერანს, ჩვენს სახელოვან დირიჟორს, ქართული სიმღერის ერთერთ ამაგდარს ბატონ მექი ყურაშვილს 85 წელი შეუსრულდა. ჩვენი მექი—შესანიშნავი მოქალაქე, კარგი მამა და მეოჯახე, მუსიკის უდიდესი მოტრფიალე და ქართული სიმღერის უბერებელი ქომაგი,

რამდენი ახალგაზრდის ყური და სმენა „გაუხედნია" ბატონ მექის, რამდენი გაუზრდია და ჭეშმარიტ მომღერლად უქცევია, მაგრამ მისი მთავარი ჰობი მაინც ანსამბლი ანსამბლურობა იყო და არის. რამდენი ნამდვილად პროფესიული ანსამბლის წინ გვინახავს ბატონი მექი დირიჟორის „წკირით" ხელში, რამდენჯერ დავმტკბარვართ მისი ანსამბლების მიერ შესრულებული სიმღერებით—სიახლით, ღრმა მუსიკალობით, გრძნობათა სიღრმით,

ერთ—ერთი მთავარი მის შემოქმედებით ცხოვრებაში გამოკვეთილად ის არის, რომ საამაყო მუსიკოსები არიან მისი შვილები ქალბატონი რუსუდანი და ბატონი გურამი, ბრწყინვალედ მღერის ბატონი ზაური, ამ სიამაყეთა ჩამოყალიბებაში უპირველესი წილი ბატონ მექის მიუძღვის. როგორ შვენიან არა მარტო ერთმანეთს, არამედ ქართულ მუსიკასაც ერთი ანსამბლის წინ მდგარი რუსუდანი, გურამი და მექი.

ბატონი მექი ცაგერში მოსამსახურის ოჯახში დაიბადა; სწავლობდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საგუნდო—სადირიჟორო სპეციალობაზე. უკვე 1931 წლიდან მექი მომღერალთა გუნდებს ხელმძღვანელობს ცაგერისა და ლენტეხის რაიონებში.

ბატონი მექის ინიციატივით ქ. ცაგერში 1959 წელს გაიხსნა სამუსიკო სკოლა, რომლის დირექტორადაც მუშაობდა იგი 1965 წლამდე; პარალელურად იგი ხელმძღვანელობდა ცაგერის სარაიონო კულტურის სახლის მომღერალთა გუნდს, ცაგერის საშუალო სკოლის მოსწავლეთა კაპელას და სხვ.

1968 წელს ბატონ მექის მიენიჭა რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება, არის რესპუბლიკის ლაურეატი.

ბატონი მექი ცაგერის რაიონის საპატიო მოქალაქეა.

დიდხანს იცოცხლეთ, ჩვენო მექი.

ლეჩხუმის კულტურის სახელოვანი ფურცლებიდან

სურათზე: ლადო ასათიანის ლიტერატურული შემოქმედებისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო ქ. ცაგერში. ლიტერატურულ-საიუბილეო საღამოს შესავალი სიტყვით ხსნის პარტიის ცაგერის რაიკომის მაშინდელი (ყოფილი) პირველი მდივანი მიხეილ ჯინჭველაშვილი.

წინა რიგში სხედან: პოეტის მამა მექი ასათიანი, პოეტის მეუღლე ანიკო ვაჩნაძე ლადოს თანატოლი და თანამოკალმე პოეტი რეზო მარგიანი, დგას მიხეილ ჯინჭველაშვილი.

არ მიგაგატოვებთ ძეგლებო!



ნგრევამ დაისადგურა ადამიანის ბუნებაშიც. ფანატიკოსი იგი მგრეველად. იმ ავადმოსაგონარ დროს ბამოკალეს ერწმუნოებაც და უწნეობაც; ადამიანი იქცა ბუნებისა და ცხოვრების ხელოვნურ დანამატად. აღარც ტრადიცია, აღარც რწმენა, აღარც დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. აღარც იყვნ მორწმუნე ადამიანობა და ურწმუნო კაცი რობოტი გახდა.

მიზეზი? მას რწმენის ტაძარი შეურყევნეს და შეუგინეს. ეკლესია-მონასტრები დაუნგრიეს და იგი ოვითონაც გახდა შემგუებელი; შეეგუა უგაძრობას, ურწმენობას, საფიცარის უქონლობას. გაიყო სული და ხორცი. სული სიმარტოვეში დაინგრა და გაუკაცრიელდა, ხორცი გაუკეღმარიებულ ცხოვრებას შეერია.

ამ სურათზე აღვის ეკლესიის ნაშთად დარჩენილი კედლებია აღბეჭდილი სამრეკლოც ერთგვარი სიამაყით გადმოჰყურებს ბუნების სტიქიისაგან განადგურებულ ტაძარს, სადაც ერთ დროს წმინდა სანთლის წინ ლოცულობდა აქაური გლეხკაცი. ესაა და ეს. სასაფლაოს მდუმარებაშია ჩაფლული ეკლესიის კედლები. იგი ელოდება აღმდგენელსაც და მლოცველსაც. ჯერჯერობით არც ერთი ჩანს და არც მეორე.

ერის ცხოვრების მატარებელი თავბრუდამხვევი სისწრაფით მიჰქრის, აკლდებიან და ემატებიან მგზავრები. ჩადიან, ამოდიან...ის კი მიჰქრის, ვერაფერი აყოვნებს მის სვლას.

ჩვენ ახლა გვირაბში ვართ. გვირაბის ბოლოს შუქია —დიდი, ნათელ. თვალისმომჭრელი სიკაშკაშის. შუქზე ის გზაც კარგად ჩანს. წმინდა ტაძრამდე რომ მიგვიყვანს. ახლა კი, ჯერაც გვირაბში მყოფთ, ერთმანეთისთვის არა გვცალია. ირგვლივ ჩამოწოლილ სიბნელისათვის მიგვიბჯენია დაძაბული მზერა. ნათელის გამოჩენას ველით, ნათელი გვწყურია...

უსასრულობაც სადღაც სრულდება და ამ გვირაბსაც. უეცველია. ექნება დასასრული. იქ კი. გვირაბის ბოლოს... მაგრამ დღეს სიბნელით და შინაგანი სიცივით შეძრწუნებულნი გაფართოებული თვალებით დაველებთ შუქს აქ. ამ გვირაბში, სადაც ის არ არის. არც შეიძლება იყოს. აქა—იქ ალიც გაიციალებს. უმალ დაიპრობს ჩვენს ტკივილიან ცნობიერებას. მაგრამ თითო—ოროლა სანთელი ვერას აკლებს ნესტიანი გვირაბის უკუნს,. და ისევ შუქის მოლოდინი, ერთადერთი, რისი იმედიც წინ მიგვასწრაფებს ისე ძალუმად. რომ ერთმანეთისაკენ მიხედვას აღარ გვაგონებს. მერე სინათლეზე გასულნი, იქნებ. წმინდა ტაძრის გზას შედგომილნიც. მოვიძებნით ერთმანეთს. მოვიკვლევთ და აღმოვაჩენთ. რომ თურმე ადამიანთა უგულურებით და ისტორიის უკუღმართობით გავნახევრებულვართ, შუქის ძებნაში ერთმანეთი დაგვიკარგავს. მგზავრები შემოგვკლებია.

თუმც. ნათელი რომ იყო. კანდელების ჯარიც რომ ენთო, არც მაშინ იდო ვინმემ თავს სხვის ბედზე ზრუნვა. მატარებლის მქაჩის მხარში დგომა. სწორი გზა რომ არ დაეკარგა ლაბირინთებით დახლართულ რელსებს შორის.

ახლა 70 წელია. გვირაბში ვართ, აგერ, შვიდი წელიც ზედ დაუმატეთ. ჩირაღდნები რომ ავაბრიალეთ. მაგრამ მალევე ჩაგვეწვა ხელში (უფრო სწორად. ზემოდან გადმოსხმული ცივი წყლით ჩაგვიქრეს და დაგვტოვეს ისევ ბნელში).

ძნელია. ივარაუდო, როდის დასრულდება გვირაბი, მაგრამ. ცხადია, ამ სიბნელეს და ნათლის მოლოდინს კიდევ მრავალი მგზავრი შეეწირება. გვირაბში კი, საქმეა. ახალი შეესება მივიღოთ.

მატარებელი კი მიჰქრის, მიჰქრიან წლებიც და ჩვენი დემოგრაფიული პორტრეტის შტრიხები დღითიდღე ხუნდება.

საიდან მოვდივართ. რამდენი მოვდივართ და საით მივდივართ?...

ერის მთლიანი პორტრეტი მაინც ცალკეულ კუთხეთა იერსახით იქმნება და ერთერთი მათ შორის ლეჩხუმია. პაწია მხარე. „თუ თვით ედემი არ არის. ედემის შესადარიაო",— კომპლიმენტად რომ ქაროლა სულმნათმა აკაკიმ.

შორიდან მოვდივართ. ძალიან შორიდან, რკინისა და ბრინჯაოს ხანიდან, პროკოფი კესარიელი (მე—6 საუკუნე) „სკვმნიად" მოიხსენიებს პატარა ედემს.

ზუსტად არავინ იცის. როდის ან ვისი ფეხი დაედგა პირველად ჩვენს ზღაპრულ მიწას. ვინ განაოთხა მიწას პირველი ხე. შემორაგვა პირველი პაწია ყურე და შექმნა პირველი კომლი. მაგრამ მე—13 საუკუნეში. როგორც მონღოლთა მიერ ჩატარებული აღწერის ცნობები გვიამბობენ. 4050 ასეთი კომლი გვყოლია. ე. ი. საშუალოდ. 20—25 ათასი ლეჩხუმელი.

საუკუნეებმა ჩაიარეს ზარითა და ზარით.

საქართველოში აპობოკრებულმა გარეშე მტრებთან ომებმა თუ შინაშლილობებმა ასი—ათასობით ქართველის სიცოცხლე შეწირა. ჩვენ კი ვიყავით შეჯუჯულნი ძნელად მისასვლელ მთებში. ბუნებრივი საფარები თავიდან გვარიდებდნენ მტერთაგან რბევას. არაფერი გვქონდა დასაკარგი და არც გკარგავდით. პირიქით, მტერთაგან შევწროვებული ქართველობა ბარიდან მთებში მოეშურებოდა. აქ ფუძნდებოდა და ლეჩხუმი დედობას უწევდა მათ.

მე—18 საუკუნეში. როცა საქართველოში თითქმის ყველა კუთხეს დემოგრაფიული კრიზისის ხანა ედგა. მოგზაურ გულდენშტენდტის ცნობით. ლეჩხუმი ისევ 4000 კომლს ითვლიდა. ანუ 20—25 ათას მცხოვრებს. სალაშქროდ გამოსული სამეგრელოს სამთავროს 6000 მეომრებიდან 2000—კაცი. ანუ ლაშქრის მესამედი. ლეჩხუმელი ყოფილა. თურმე.

მე—19 საუკუნე. ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება და იწყება მოსახლეობის სწრაფი ბუნებრივი მატება. ლეჩხუმის მაზრა, რომელშიც სვანეთიც შედის. 1900 წელს 51643 მცხოვრებს ითვლის, რომელთაგან საკუთრივ ლეჩხუმის ტერიტორიაზე 34050—ცხოვრობს.

აქ დემოგრაფიული აღმასვლის მწვერვალია.

გაივლის წლები და ჩვენს პაწია ედემს სევდიანად მოაგონებდა ეს ოქროს ხანა, რომ მრავალშვილიანობით ასე იწონებდა თავს.

გაივლის წლები და ისევ მოეტატრება ამ მწვერვალზე ასვლა, მაგრამ ამაოდ. დღითიდღე დაკარგავს საამისო ძალას.

მე—20 საუკუნე.

ცხოვრების კეთილმოწყობა, კულტურისა და ეკონომიკის აღმასვლა მკვეთრად ამცირებს სიკვდილიანობას. საქართველოს დემოგრაფიული პორტრეტის ყველაზე ლამაზი და ძლიერი შტრიხები სწორედ ამ პერიოდში იხატება. თუ მე—19 საუკუნის დასაწყისში საქართველოში 785 ათასი მცხოვრებია, 1989 წელს ეს რიცხვი 5 მილიონ ოთხი ათასზე ადის, მაგრამ ეს ბედნიერი აღმასვლა ლეჩხუმისათვის თითქმის საუკუნით ადრე დასრულდა.

დიდ სამამულო ომში წასული 7 ათასი ახალდაქორწინებული და დასაქორწინებელი ლეჩხუმელიდან ნახევარზე მეტი ველარ დაბრუნდა უკან. დემოგრაფიული დაღმასვლა დაჩქარა მასიურმა მიგრაციებმა მთიდან ბარში. პროვინციის ახალგაზრდობამ დიდ ქალაქებს მიაშურა ბედის საძიებლად. იქ დამკვიდრდა სამუშაოდ და საცხოვრებლად.

ლეჩხუმის ახალგაზრდებიც. მის ტოტებზე ფრთებშეპუმბლულნი იწყებენ გადაფრენას, მიეშურებიან ქალაქებისკენ. „თბილი ადგილებისკენ". ილიასებურად რომ ვთქვთ, მიდიან, თითქოს წინ თოკი ეკრძალათ და უკან არ იხედებიან, თითქოს ძაფიც არ აკავშირებთო წარსულთან, შემდეგ...

გაბზარული გულები და დაცლილი სახლები, ხუთ—ათ კომლიანი სოფლები და უბავშვო სკოლები. გაუკაცრიელებული გზები და ეკალ—ბარდიანი სასაფლაოები... ჭოტის ასპარეზად ქცეული სხნავ—სათესები.

ვინ მოპრუნდა. ვინ მოეფერა. ხელისგულები ვინ გადაუსვა ცრემლიან თვალებზე მიტოვებულ მშობელს. ვინ გაიგონა მისი ძახილი—ხმით არ დაუძახია და გულის ხმა კი მხოლოდ მას ესმის, ვისაც თავად დიდი სიყვარული აქვს დამძახებელის.

ეგრეთწოდებულმა გეგმიანმა გადასახლებებმა ბოლნისსა და აფხაზეთში თითქმის მთლიანად დასცალა და გაუქმა ჩვენი სოფლები. და დღეს. ოდესღაც 34 ათასიან კუთხეს 16 ათას ორასი მცხოვრებიღა შემორჩა. ამათგან მხოლოდ 4000—მდე ახალგაზრდა.

საიც ეწევა ბედი ლეჩხუმის შვილებს ასე ძალუმად? ქვეყანაში მიმდინარე ისტორიულმა პროცესებმა ეკონომიკური სიდუხჭირის პირისპირ დააყენა ქართველი ხალხი და ლეჩხუმლებიც. გაუფერულდა ნ. დუმბაძისეული ჭეშმარიტება, რომ „სამშობლო ქიშმიშიანი ნამცხვარი არ არის. ქიშმიში გამოარჩიო და ქერქი გადაყარო. სამშობლო უნდა გიყვარდეს ისეთი. როგორიც არის. ქიშმიშიან—ქერქიანნახშირიანად".

ლეჩხუმის პირმშოები მეტისმეტად ნაზები აღმოჩენდით გასაჭირის. პრობლემების წინაშე: ვინ რუსეთს მივაშურეთ და ვინ საზღვარგარეთის ქვეყნებს. ზოგმა მანქანებისთვის. ზოგმა კეთილმოწყობილი ბინებისათვის და ზოგმაც. ვაგლახ. ლუმპაურის ფულისთვის. მიდიან ახალგაზრდები ოჯახებით, მიდიან საცოლე ბიჭები, წლები გადის და მათი გაუჩენელი შთამომავლობა სწორედ ლეჩხუმს სტკივა მწარე ტკივილით. ორ არჩევანს მორის: უმუშევრობა თუ საზღვარგარეთ წასვლა. მეორე არჩევანი უფრო ხშირია, არაეროვნული, მაგრამ პრაქტიკული.

ბევრი თვლის. რომ სადაც ბედნიერი და უზრუნველოფილი იქნება. იქ არის მისი სამშობლო: გაქცეული და უვარგისი არსად არავის სჭირდება. კარგი ცხოვრება. რომელიც მათ სამშობლოში დაბრუნებს, თავისთან არ მოდის. ის საკუთარი ხელებით უნდა შექმნაჭირთათმენით, ტკივილგამძლეობით. არაფერია ისე მიმზიდველი. როგორც ნებისყოფა, რომელიც ამარცხებს სიღარიბეს და გასაჭირს. ვინ შექმნის კარგ ცხოვრებას? იმ მოხუცები ხომ არა, ოდესღაც რომ კეთროვანივით გაერიდნენ ლეჩხუმს. დიდ ქალაქებს შესწირეს ახალგაზრდობის წლები და ცხოვრების მიმწუხრზე უკან მოაბრუნა არა სისხლის ყვლა. არამედ ეკონომიურმა გასაჭირმა, მიწის ინტერესმა? მობრუნდნენ. ეკლიანი ბილიკები გაწმინდეს, გაციებული კერები გაანაღეს. გადაპურებული მიწები დაამუშავეს... წყალწაღებული ხავსზე მოვიდების მსგავსია ეს ყველაფერი ჩვენი დემოგრაფიისთვის.

კარგ ცხოვრებას დანატრებულები კი გუნდ—გუნდად ტოვებენ ლეჩხუმის მიწას. მართალია. „ხის სიმაღლე ფესვებიდან იზომება, ჩვენი ფესვები კი აქ არის, საქართველოში". რომ თუ მშობლიურ ნიადაგში გადგმულ ფესვებზე მყარად არ დგახარ. ფუჭია ბედნიერებისათვის დახარჯული ყველი ცდა. მაგრამ რეალობა თავისი სიმკაცრით სულ სხვა მხარეზეა.

რაიონში დარჩენილი. თითქმის უმუშევარი ახალგაზრდობა ერდება ოჯახების შექმნას, აფრთხობთ უამრავი სერიოზული პრობლემა, რაც ახალ ოჯახს, ახალ სიცოცხლეს უკავშირდება. შექმნილი ოჯახების უმრავლესობა ერთ ან ორშვილიანია.

ქორწინებათა. შვილთა სიმრავლე. მათი სიყვარული. მოთმინება და ამტანობა—ეს გადაგვარჩენს, ვიცით, მაგრამ ჟამთა სიავეს ვუჩემდებით და „მოთმინებითა ჩვენითა ვმკვიდრობთ". ვითომ სწავლამოწყურებულ. მაგრამ გართობისმოსურნე ახალგაზრდების იმ ერთ ნაწილს, მასიურ კომერციულ სასწავლებლებს რომ შეაფარეს თავი. სჯობდა, ოჯახების შექმნასა და ერის აღორძინებაზე ეფიქრათ. იცის. მაგრამ ამასაც ჩუმის ტკივილით ითმენს ლეჩხუმი.

ითმენს და... იხურება ბაღები. სკოლები კონტინგენტის უქონლობის გამო. ბოლო ათწლეულებში არასდროს გვქონია დაბადების და ქორწინების ესოდენ დაბალი და სიკვდილიანობის მაღალი კოეფიციენტი. თუ 1986 წელს აღრიცხულია 147 ქორწინება. 236 დაბადება და 287 გარდაცვლება, 1994 წელს მხოლოდ 67 ქორწინება. 161 დაბადება და 321 გარდაცვლება. ასაკოვანთა მიგრაციამ ქალაქიდან სოფელში გაზარდა სიკვდილიანობის კოეფიციენტი. როგორც არასდროს. მოგვმრავლდნენ „ბერბიჭები" და „შინაბერები". 1992 წლის მონაცემებით ლეჩხუმში საქორწინო ასაკისაა. მაგრამ დაუქორწინებელი 1661 მამაკაცი და 1423 ქალი. მათი ნამრავლი. რომ დაქორწინებულიყვნენ, საშუალოდ 3000—ზე მეტი იქნებოდა. ალბათ.

დემოგრაფიული პორტრეტი კატასტროფული სისწრაფით ხუნდება. დაღმასვლა გრძელდება. ბედითი ცხოვრების შიში გვაიწყებს. რომ პრობლემები და გასაჭირი დროებითია და წარმავალი, სამშობლო კი — მარადიული. რას იზამ. შიშშილით, სიბნელითა და სიცივით შეწუხებული ხალხი მაღალ მატერიებზე ველარ ფიქრობს და, როგორც ხუთასიოდე წლის წინათ, კეთილ ბატონზე ოცნებობს მხოლოდ.

იცვლება ხელისუფლება. იცვლება მართვის მექანიზმის დეტალები, მაგრამ გვირაბის ბოლოს აღთქმული ნათელი არ ჩანს. მიუხედავად სიტყვამრავლობისა, ახალგაზრდობის ბედი კვლავ რჩება „ხმად მღაღადებლისა", რჩება მიყრილ უპატრონო მარგალიტად.

დემოგრაფიული სტატისტიკა კი გამაფრთხილებელი ზარვითი რეკავს და გონიერებისკენ მოგვიხმობს.

საუკუნის მანძილზე გავნახევრდით!

მატარებელი კი ისევ გვირაბში მიდის.

შუქის ანარეკლები ჯერჯერობით არ ჩანს. ისევ სიბნელე. ისევ გაურკვევლობა... ძნელია. ივარაუდო, რამდენი მგზავრი მიჰყვება მატარებელს გვირაბის ბოლომდე (თუ ასე ვფიქრობ. იქნებ სულ უმგზავროდაც დარჩეს). მაგრამ რა უშავს. თუ ირგვლივ სიბნელეა, ნესტია და ვერც შინაგანი ცეცხლით ვთბობთ ერთმანეთს, სამაგიეროდ. გვირაბის ბოლოს შუქია, ეს კი. თურმე ყველაფერს უდრის, თვით ამდენ მსხვერპლსაც კი

მაყვალა კოპალიანი.

დემოგრაფიული პულსი მკაცრ კონტროლზე!

●

„გვირაბის ბოლოს შუქია"

პარლამენტის წევრი ამომრჩევლებთან

ამ დღეებში თავის საარჩევნო ოლქის მშრომელებს ხვდება პარლამენტის წევრი ბატონი **ვალერი გიორგობიანი.** იგი იყო ალპანაში, ლაილაშში, ორბელში, ლაჯანაში, ზუბში, შეხვდა ქალაქის მოსახლეობას. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე რაიონის გამგებელი ბატონი **კარლო კვირკაშვილი,** მისი მოადგილეები **მელსი ყურაშვილი** და **რეზო შურცხვალიანი.**

* * *

„თაკვერის" ახალი ბანრიბი.

გაზეთი „თაკვერი" ივნისიდან ყოველთვიური ორგანოა, გამოკა თვეში ერთჯერ იგივე ფორმატით.

* * *

ოთხი რაიონის მოჭადრაკეთა პირველობა გაზეთ „თაკვერის" პრიზზე გაიმართება 1996 წლის სექტემბრის ბოლოს—ენკენობის დღეებში.

* * *

კუკარაჩა" სახალხო თეატრის სცენაზე

ამ დღეებში ცაგერის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩა".

სპექტაკლი დადგა და მუსიკალურად გაფორმა სახალხო თეატრის მთავარმა რეჟისორმა ზაზა ყურაშვილმა; მხატვარი—ნუგზარ კოპალიანი.

როლებს ასრულებდნენ: კუკარაჩა—გიორგი შკუბულიანი, ქნინიკო —მანანა კოპალიანი, ინგა —დარეჯან საღინაძე, მურტალო — ზაზა გზობავა, მთხრობელი — დათო სანთელაძე, მოსე შავთოშვილი — რუბენ გოგიძე, რებეკა — ვალიდა ბენდელიანი, ალი — ალბერტ ბენდელიანი, მართა — გულნაზ გოლეთიანი, ანელიკა — მაია კოპალიანი, მილიციის უფროსი — სოზარ ბენდელიანი მილიციის კაპიტანი — კილგელმ კოპალიანი, მოსამართლე — ზაზა ყურაშვილი.

სპექტაკლში მონაწილეობდნენ ნორჩი მსახიობები: ვახტანგ გოგიძე, მამუკა ალავიძე, სოსო ქარსელაძე, ბაკა კოპალიანი, გიორგი მეშვილიანი, დათო ჩაკვეტაძე, დიტო ჩიქოვანი.

საქართველოს ერთ–ერთი კუთხის, ლეჩხუმის წარსული სისხლხორცეულად არის დაკავშირებული საქართველოს მრავალსაუკუნოვან და მდიდარ ისტორიასთან. ლეჩხუმის ეტიმოლოგიის ირგვლივ რამდენიმე მოსაზრებაა. მათ შორის აღსანიშნავია ორი. ერთი მათგანი ლეჩხუმს მეგრული „ჩხომის“ (თევზის) დახმარებით ხსნის, მეორე—სვანური „ცხეკის“ გამოყენებით. უფრო სარწმუნოა, რომ ლეჩხუმი მეგრული წარმოშობისაა.

როგორც წყაროებიდან ირკვევა, ლეჩხუმი ანტიკურ ხანაში კარგად დასახლებული და იმ დროისათვის შესაფერი, განვითარებული კუთხე ყოფილა. კოლხეთის დიდ სამეფოში შედიოდა. როგორც ქრისტიანული პროვინცია, ჰყავდა საკუთარი მთავარი, რომელსაც ეგრისის მეფე ნიშნავდა. საისტორიო წყაროებში ამ პერიოდიდან (მეექვსე საუკუნე) იწოდება ჩვენი მხარე „ლეჩხუმად“ იგი მოხსენიებული ჰყავს პროკოფი კესარიელს „სკვიმნიის“ სახელწოდებით, რომელიც ლეჩხუმის ბიზანტიურ ფონეტიკურ შესატყვისს წარმოადგენს

ლეჩხუმის ტერიტორიაზე ადამიანის ნაცხოვრების კვალი ქვის ხანიდანაა (ეს საკითხი შესწავლის პროცესშია ამჟამად) ქვის ხანის ადამიანის კვალი ჩანს სოფელ ზუბისა და სოფელ ნაკურალეშის მიმდებარე ტერიტორიებზე. აღებულ არქეოლოგიურ მასალებში საკმაოდაა წარმოდგენილი ქვის საჭრისები, ცელები, ნამგლის პირები, კაჟის საფხეკები, დანები და სხვა. ჩამოთვლილი იარაღები ქვის ხანის პერიოდის მიწათმოქმედების და ხელოსნობის კულტურაზე მეტყველებს ლეჩხუმის ტერიტორიაზე. მასალები დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

ლეჩხუმში კიდევ უფრო კარგადაა წარმოდგენილი გვიან ბრინჯაოს პერიოდი. ეს პერიოდი საკმაოდაც შესწავლილია. აღმოჩენილია ადგილზე ნაწარმი ბრინჯაოს ათზე მეტი განძი, რომლებიც შეიცავენ ხალხი ბრინჯაოს სამიწათმოქმედო და საბრძოლო იარაღებს, ჭურჭელს ცხენის აკაზმულობას, ხუროობის საოცრად დახვეწილ ინსტრუმენტებს, სასმისებს, სამკაულებს, საკულტო ნივთებს და სხვა. ლეჩხუმში ბრინჯაოს წარმოების მთავარ კერებად ცნობილია ცაგერა, ხოჯი, ცხეთა, ლუხვანო, მთა ჭიქელაში და სხვა. საქართველოს ისტორიის ნარკვევების პირველ ტომში ვკითხულობთ — „იმ დროისათვის (ჩვენ წელთაღრიცხვამდე ორიათასეული წლების შუა პერიოდი, ე. ი. 3 ათასი წლის იქეთ დაახლოებით დ. კ.) ძველი მეტალურგიული წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით უპირველეს ყოფილისა. სხვადასხვანაირი მადნეულის საბადოებით მდიდარია რაჭა, ლეჩხუმი და სვანეთი... სპილენძის მადნის დამუშავების და დაწურვის კვალი დამოწმებულია ღებში, ლეჩხუმში, ზემო სვანეთში“.

ცხეთის ბრინჯაოს პერიოდის ნასახლარზე „ყვავის გორაზე“ სოფელ ლესინდის და წილამიერის მიმდებარე ტერიტორია (70–იან წლებში) ჩატარებულმა არქეოლოგიურმა კვლევამ დიდ შედეგს მიაღწია. ექსპედიციამ იქ გათხრებით მოიპოვა უნიკალური მდიდარი განძი (ადამიანის ყოფისათვის საჭირო ყველა განძის ბრინჯაოს, ოქროს და კერამიკის ნივთი) რითაც დადასტურდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მერვე საუკუნეში ლეჩხუმის ტერიტორიაზე კარგად განვითარებული მიწათმოქმედება, ხელოსნობის მაღალი დონე და კულტურა. ნეოლითის პერიოდში ბრინჯაოს პარალელურად მაღალ დონეზე იყო განვითარებული მეთუნეობა. მაშინდელი კერამიკის არაჩვეულებრივი ნიმუშებია მოპოვებული ლეჩხუმის ტერიტორიაზე.

ლეჩხუმის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან მისდევდნენ მესაქონლეობას და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ხორბლის თესვა–მოყვანას და მევენახეობას. ამას ადასტურებს მოპოვებული არქეოლოგიური მასალები. დაახლოებით სამი ათასი წლის წინათ ლეჩხუმის ტერიტორიაზე მცხოვრები მეურნე ბრინჯაოს ნამგალთან (პურის სამკელი) ერთად ჩვენი მიკრორაიონისათვის ენდემური პურეულის ჯიშების, მახასა და ზანდურის საკრეფად იყენებდა ყველაზე ოპტიმალურ საშუალებას, თოკით გადაბმულ ორ ჯოხს, რომელსაც „შნაკვი“ ჰქვია და უპრეცენდენტოა დედამიწაზე, ის დღესაც შეუცვლელია.

ბრინჯაოს პერიოდის განძები, წარმოებული და მოპოვებული ლეჩხუმის ტერიტორიაზე არა მარტო ცაგერის და საქართველოს დანარჩენ მუზეუმებშია (ქ. ქუთაისი, თბილისი) განთავსებული, არამედ რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. პეტროგრადის, მსოფლიოში ერთ–ერთი უმდიდრეს მუზეუმის—ერმიტაჟის ერთ–ერთ საგამოფენო დარბაზს ამშვენებს და უნიკალურ ნივთებადაა მიჩნეული.

ლეჩხუმის ისტორიულად ცნობილი ადგილია მური, სადაც არის ანტიკურ ხანის და ალბათ, უფრო ადრინდელი ნასახლარი, სამარხები. აქ ნაპოვნია წარმართული პერიოდის ქვევრ–სამარხი, რაშიდაც აღმოჩნდა ბრინჯაოს, რკინის, კერამიკისა და ოქროს უნიკალური ნივთები, რომლებიც დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. მუ-

ლეჩხუმის ისტორიის ციკლიდან

„ოქროს სეიფების“ ბინადარნი

დავით კოპალიანი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი

რი მისი შემოგარენით ბუნების საოცრებად შეიძლება მივიჩნიოთ. ამიტომ ჩვენმა წინაპრებმა უხსოვარი დროიდან ეს ადგილი წმინდა ადგილად მიიჩნიეს მური ანტიკური პერიოდის შემდეგაც ინარჩუნებს თავის საპატიო ადგილს. ქრისტიანული სარწმუნოების დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, ლეჩხუმში დამკვიდრების პერიოდს დიდების შარავანდედით მოსავს მართლმადიდებლური ეკლესიის ცენტრიდან, კონსტანტინეპოლიდან შერისხულად მოსული ლეჩხუმში, მურში სამუდამოდ განსვენებული, ქრისტიანულ სამყაროში აღიარებული მოძღვარი, მე–7 საუკუნის დიდი მოაზროვნე, ფილოსოფოსი, „საეკლესიო მამა“ მაქსიმე აღმსარებელი (აღმსარებლის თავგადასავალი ცალკე სასაუბრო თემაა). ადრე შუასაუკუნეები პერიოდში, ვიდრე სოფელ ლაილაშს დაიმკვიდრებდა ხელისუფლება, მური ითვლებოდა ლეჩხუმის „ხორციელ“ ცენტრად, ცაგერი კი სასულიერო ცენტრს წარმოადგენდა.

საერთოდ ლეჩხუმის და კერძოდ, მურის ტერიტორიაზე მიწის ქვეშ რომ საქართველოს უცნობი და დაუწერელი ისტორია იმალება, ამაზე მიგვანიშნებს 1913 წელს მურში ცნობილი მეცნიერის, ნ. მარის ხელმძღვანელობით არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ დაწყებული სამეცნიერო გათხრები. პირველი მსოფლიო ომის დაწყების გამო არქეოლოგიურ ძიება შეწყდა. ექსპედიციის წევრი იყო ცნობილი ფოტოგადამღები ერმაკოვი. ერმაკოვის უნიკალური ფოტო მასალა იმ დროს მურისა და ცაგერის ზოგიერთი ისტორიული ადგილების შესახებ მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

გადმოცემით ცნობილია, რომ ლეჩხუმის ბაზრობა, ენკენობა, აღებ–მიცემობა, სტუმართა მიღება ადრინდელ პერიოდში მურში ეწყობოდა როგორც უმშვენიერესი ადგილი და კუთხის ცენტრი. შემდეგ გადმოინაცვლა ცაგერში.

ადრე ფეოდალური ხანის, ქრისტიანობის დამკვიდრების პირველ კერებს და საამშენებლო ხელოვნების არქიტექტურული ძეგლების წარმოადგენდნენ ლეჩხუმის ტერიტორიაზე გონის უძველეს ნასახლარზე არსებული გუმბათიანი მონასტერი, რომელიც მოზაიკითაა ნაგები, ლაბეჭინის, ხვამლის (ძველი), ცაგერის (ძველი), მურის აღმსარებლის სახელობის (ძველი) ეკლესია–მონასტრები, გვესოს სამნავიანი ბაზილიკა, თაბორის ციხე–ეკლესია, ჭიქელაშის ციხე–ეკლესია.

ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ოსებს ჩრდილო კავკასიის ცენტრალური ნაწილი ეჭირათ და დასავლეთით ჩერქეზებს და აბაზგებს ესაზღვრებოდნენ, ასეთ შემთხვევაში გზა „თაკვერისა“ ყველაზე მოსახერხებელი გზა იყო, რომელიც ჩრდილო კავკასიის ხალხებს რაჭისა და ლეჩხუმის გავლით დასავლეთ საქართველოსთან, იმ დროს კოლხეთის ძლიერ სამეფოსთან, კიდევ უფრო შორს, ზღვის გაღმა ბიზანტიასთან აკავშირებდა.

„თაკვერის“ გზა ჰქონდა მტო–ცაგერი ცხენისწყლის ხეობის ზემო წელის გაწვრივ (ქვ. სვანეთის ტერიტორია) მაჩხავარი ანუ შავრიცკანის უღელტეხილით ჩრდილო კავკასიაში, ეს გზას, თურმე, დატვირთვით იყო გამოყენებული იმ დროისათვის.

უნდა ვიფიქროთ, რომ ლეჩხუმისათვის ამ სატრანზიტო გზებმა იმ დროისათვის მნიშვნელოვანი დადებითი როლი შეასრულა მხარის სამეურნეო სავაჭრო და კულტურულ ცხოვრებაში. ლეჩხუმის ტერიტორიაზე, თაკვერის გზაზე მთავარი სავაჭრო ცენტრები უნდა ყოფილიყო: ქულბაქი, მური, ლაილაში („თაკვერი გზის“ ერთ–ერთი შუა ადგილი და თან მისი მდებარეობითა და მიდამოს ნაყოფიერებით, ბუნების მშვენებით ერთ–ერთი გამორჩეულია მხარეში) ალბათ ერთ–ერთი პირობა ის იყო დაახლოებით 26 საუკუნის წინათ სოფელ ლაილაშს მუდმივ საცხოვრებლად ებრაელების მოსვლისა, რომ ამ მშვენიერ ადგილას გადიოდა დიდი სავაჭრო გზა. შემდეგ ხომ სომხებიც დასახლდნენ იქ.

ლეჩხუმის ტერიტორიაზე რომ იმ დროისათვის ვაჭრობის დონე კუთხისა და ქვეყნის ფარგლებს სცილდებოდა, ამაზე მეტყველებს მხარეში მოპოვებული მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა, სადაც კოლხური თეთრის გარდა არის მეზობელი ქვეყნების მონეტებიც (დაცულია ცაგრის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში).

ლაილაშის ებრაელების სამლოცველო, იგივე თორმა უძველესია (ახლა ნაგრევებადაა ქცეული). შუასაუკუნეებს განეკუთვნება სომხური ეკლესია (ძველი) უძველესი დროიდანაა ცნობილი ლაილაშის ბაზარი (ბაზრობა), ლაილაშის ბულვარი და ა. შ. ლაილაშის ქრისტიანული ეკლესიისა და იერუსალიმისი ჯვრის მონასტრის მოღვაწეებს ანტიკურ პერიოდში საქმიანი კავშირები უნდა ჰქონოდათ, რაც ბევრისმეტყველია.

(გაგრძელება იქნება)

მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნის ლეჩხუმელი ტიპაჟი



გიორგი სალინაძე – ლეჩხუმელი თემის მამასახლისი.

იასონ გელოვანი – ლეჩხუმელ თავად-აზნაურთა მარშალი.

მოსაწვევი ბარათების ისტორიაზე მეტყველებენ:

„ლადოობა“ – ლადო ისიანის საღამოების

ასათიანისა და სევერიან მოსაწვევი ბარათები

ღამის ბნელი თალხით მოსილი ხევები მლოცველობივით დგანან და მოთმინებით ელიან ვიღაცას, თუ რაღაცას. ირგვლივ კი უკუნი გამეფებულა და დაღლილ სულში ქარი თარეშობს...

ბნელა.

ლოდინის ძაფზე აკინძული წუთები და წამები ნელა მიიწლაზნებიან. როგორმე უნდა გავუძლო ამ მტკივნეულ მოლოდინს, ყელშივე ჩავახშო ამბოხებული სულის განწირული კივილი: „რატომ, რატომ იგვიანებს?!... ნუთუ მზემაც მიმატოვა?...“

ირგვლივ ჯოჯოხეთური სიბნელე მეფობს. ოცნების სამოსელშემოძარცული ვდგავარ ბურუსით მოცულ გზაგასაყართან. ცივა. თვალი მიბნელდება და ვკრძნობ, მთელი არსებით ვკრძნობ, რაღაც ჯაღმსნური წრე იკვრება ჩემს ირგვლივ. საით მივყავარ ჩემს მოწყენილ გზას?!. იქნებ, აი, ეს ვიწრო, ეკლიანი, ვარდისფერ ბურუსში საიმედოდ შესულული ბილიკია გზა, რომელსაც ვეძებ, გზა ჭეშმარიტებისაკენ. იქნებ, აი, ეს ნათელი, ერცელი ადვილადსავალი გზა ამერჩია?... ან იქნებ, მესამე გზაც იყოს აქვე. ჯადმე?... დაკვირვებით ვათვალიერებ სიბნელეს.

ამაოდ.

მხოლოდ შავი აჩრდილები დათარეშობენ იდუმალებით მოცულ სივრცეში. მხოლოდ ქარისა და ნიცივის საბრძანებლად ქცეულა მთელი სამყარო... ღმერთო ნუთუ აღარ უნდა გათენდეს?! ნუთუ ადამიანთა ბოროტების ჭაობმა მზემდეც უწია, სამუდამოდ წარიტაცა მისი ელვარება?!!

მტანჯველ მოლოდინს ბოლო არ უჩანს. მთვარით დაგირებული კენტად ვდგავარ ამ ჯოჯოხეთურ სიბნელეში. მზეო, სადა ხარ, მზეო?!. შენი სხივები ახლა ისე სჭირდება ჩემს გაყინულ გულს, როგორც არასდროს. გევედრები მზეო, დაბრუნდი! დაბრუნდი და მაჩვენე გზა ჭეშმარიტი, უცოდარი.

„ხმა მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“... ამაოა ვედრება. მე კი ისევ ეძირი სველის ცისფერ სამოსში შესულული ჩემი სულიერი სამყაროს დაცარიელებულ კოშკებში უმიზნოდ დავბორიალებ. აქაც ცივა. გაუსაძლისად ცივა. ჩემი პრინცეც ლურჯა ცხენებს გაუტაცია თრს შორს, შორს, უსასრულო სივრცეში.

ქარი დაჭრილივით ღრიალებს, კვნესის. ბორგავს და ჩემამდე მორეული, მიუწვდომელი ხმები აღწევს, თბილი, ნაზი, ვედრებით სავსე. ანდამატივით მიმიდავს გალობასავით ნარნარი, უჩვეულო კრძალვით ამოთქმული ვედრება: „ღმერთო, შეწევნასა ჩემსა მოხედენ: უფალო, შეწევნად ჩემდა ისწრაფე!“

მივდივარ. ვჩერდები, არ შეიძლება... მე, ცოდვილი, მაგრამ მაინც მოვინანიე ევას ნაშიერს, ძალა არ შემწევს, დავადგე იმ ეკლიან ბილიკს, საიდანაც ღვთაებრივი სითბო მოედინება... ბილიკს ნათელი, ვარდისფერი ბურუსით მოსილს, ძნელადსავალს. საოცრად მბოჭავს იდუმალი ძალა. ვყოყმანობ.

აი, ბურუსი იფანტება და ბილიკის გვერდით არაჩვეულებრივი სინათლით ბრწყინავს დიდი, ლამაზი, ია-ვარდებით ფენილი გზა, გზა ღაღი, უბრუნველი, უდრტვინელი ცხოვრებისა.

გაოცებული შევცქერი ამქვეყნიური სიტკბოების უშრეტ წყაროს. სხეული დამძიმდა, უსაშველოდ დამძიმდა, გონებას ვერ ვიკრებ. რაღაც ეხილავი, ბნელი ძალა გაყინული, წებოვანი ხელებით მეწევა ამ ია-ვარდით ფენილი გზისკენ და მეც მივდივარ. აი, პირველი ნაბიჯიც გადავდგი. მაგრამ არა!.. არა!.. სული მეხუთება, მთელი არსებით ვგრძნობ, თუ როგორ ვეფლობი სიბინძურის ჭაობში.

უკანასკნელ ძალას ვიკრებ და უკან ვიხედები... ბილიკი უკვე გასაცოდავებულ, სასოწარკვეთილ, ეიმედობით გათანგულ ბერიკაცს ჩამოჰგავს. მგზავრს ელის, მგზავრს უხმობს, მგზავრი მონატრებია... დრო-ჟამს წარუშლია ადამიანთა ნატერფალი. მწვანედ ნახავერდებ ბალახში ეკალ-ბარდებს გადაულახავი ბარიერები აღუმართავთ. აქ გაელა ყოველად შეუძლებელია!...

ქარი თმებს მიწეწავს, დაუდევრად დაჭერის და ადამიანივით კვნესის. წამით შეჩერდა, გაირინდა, გაქვავდა და უცებ მომეჩვენა, რომ ქარი, ეს ანცი, ზოგჯერ კი ულმობელი აბეგარა—სუნთქავს, ირგვლივ მივლის და დაკვირვებით მათვალიერებს. მე სუნთქვა მეკვრის. საცაა ენას ამოიდგამს, დამელაპარაკება, რაიმეს მირჩევს, მამცნობს, საით მიდის ეს ეკლიანი, ვიწრო, მგზავრდანატრებული ბილიკი... არც შევმცდარვარ სივრცე თანდათან ივსება სასიამოვნო, მეღერი ბგერებით: „იქ ნიცოცხლეა. იქ სიყვარული, უმანკოება სუფევს. მხოლოდ იქ გამეფებული სიწმინდე და სინათლე შეიძლება შეიქმნას. შენი დაცარიელებული, ნაჭრილობევი, ნახანძრალი სულის ემბაზი!“

შევკრთი, მიმოვიხედე. ირგვლივ სიჩუმეა...

ქარმა დაუდევრად აიქნიაფრთები და საღღაც გაუჩინარდა.

ისევ გავხედე ბილიკს და არამიწიერი სიმსუბუქე ვიგრძენი. იქაა ის, რასაც ჩვენ, ადამიანები, გაჩენის ღღიდან, თვალის ახელის პირველივე წუთიდან ასე ვეძებთ, ასე ვეტრფით. მაგრამ, მხოლოდ „რჩეულნი ღვთისა“ თუ ჰპოვებენ მას.

მხოლოდ უსაზღვროდ მორჩილნი, სულით გლახაკნი, გულით უმანკონი და სხეულით ებიწონნი არიან ღირსნი, განმართლდნენ წინაშე უფლისა და სძლეთ სჯასა მისსა. მხოლოდ მათ შეუძლიათ მოიპოვონ ის, რასაც ვერც მოიპარავ ცბიერებით, ვერც დაისაკუთრებ ძალადობით, ვერც მოისყიდი თვალმარგალიტით და რასაც სულის უკვდავება ჰქვია!...

ადამიანები კი... ადამიანები გადაგვარდნენ. უკვდავებას ეძებენ, უკვდავებას ხორცისა და არა სულისა.

რაოდენ საბრალონი ხართ, ადამიანებო!

ხედავთ, მაგრამ ვერ უყურებთ; ისმენთ, მაგრამ ერთმანეთისა ვერა გაგიგია-რა; და იცით რატომ? ბოლოსდაბოლოს დაირგუნა ეშმამ ის, რასაც ეწინააღმდეგა დასაბამითგან ამა სოფლისა—სიყვარული.

არჩევანი მე

მე, ნინო მუხრანის ასული მურცხვალაძე, დავიბადე 1979 წლის 8 იანვარს. ვსწავლობ ცაგერის საშუალო სკოლის XI კლასში. ამქვეყნად ჩემი მოვლენის ღღიდან 17-მა მოუსვენარმა წელიწადმა მეტეორივით ჩაიქროლა და მეც ცხოვრების ასპარეზზე გამოვდივარ. ამ ფურცლებზე გამეღავნებული ჩემი სულიერი განცდების მზის სინათლეზე გამოტანა პირველად ვცადე. ამიტომ გთხოვთ, მკითხველო, ნუ იქნებით ძალიან მკაცრი შსაჯულნი.

თქვენ დაივიწყეთ უფალი, ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენი და შესავედრებელი ჩვენი:.. უარყავით მოძღვრება მაცხოვრისა: „გიყვარდეთ თქვენი მტრები და სიკეთე უყავით თქვენ მოძულეებს, რამეთუ რომელი საწყაოთიც მოუწყავთ, იმითივე მოგეწყვებათ თქვენ“.

ხორციელმა სწრაფვამ ადამიანებში გადაქცელა, ჩაკლა, სრულიად აღგვა პირისაგან მიწისა დიდი მადლი სიწმინდისა, მონიჭებული შემოქმედების მიერ. და მონატრებია მგზავრი ბილიკს ეკლიანს, ვიწროს, ბურუსით მოსილს. ბილიკს რომელზეც საუკუნეების მანძილზე ზღვად მიედინებოდა ქრისტიან მორწმუნეთა ტალღა.

თუმცა, ჩუმად... ყური მიუგდეთ უკვდავებას ნაზიარევ გმირთა ვედრებას და ქარს ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოაქვს წარმოუდგენლად ობილი, ლამაზი კვნესა თუ საგალობელი: „აცხოვნე უფალო, ერი შენი, და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვართა ბარბაროზთა ზედა ღვთივდა ცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცვენ!..“ და ჩემი ცრემლნარევი ვედრება ანაზდად ერწყმის მხურვალე ლოცვას... „რათა ვიტყოდეთ— უფალო დიდება შენდა!“

იქ სიცოცხლეა. იქ სიწმინდე, სინათლე, უბანკოება სუფევს. მხოლოდ იქ გამეფებული სიყვარული და სილამაზე შეიძლება შეიქმნას ადამიანთა დაცარიელებული, ნაჭრილობევი, ნახანძრალი სულის ემბაზი. ადამიანებო, ნუ განუდგებით ღმერთს, რადგან თვით ღმერთია ის, რასაც გაჩენის ღღიდან ეტრფით, ეძებეთ და რასაც სულის უკვდავება ჰქვია. გახსოვდეთ, ამქვეყნიური ცხოვრების არსი სხვა არა არის, თუ არა ეს ვიწრო, ეკლიანი, მგზავრდანატრებული ბილიკი, რომელიც საბოლოოდ ჭეშმარიტებასთან მიდის.

„ყოველნი სულნი აქებდეთ უფალსა!“.. მთელი სხეული გამოუცნობი სითბოთი და სინაზით ამივსო ყურამდე მოღწეულმა სიტყვებმა.

ერთხელ კიდევ სინანულით გადავხედე ფართოდ გაშლილ გზაზე როკვითა და ველური ყიყინით მიმავალ გადაგვარებულ, გაშაძღარ, კუჭისა და ფულის, საბოლოოდ კი სატანის მონად გამხდარ არსებათა ხროვას,

ნუთუ, ეს არსებანი არიან ისინი, ვინც ღმერთმა შექმნა „ხატად თვისსა?!“ შეუძლებელია!

და მე გადავდგი ნაბიჯი გაბედული, უყოყმანო, მაგრამ შიშითა და ძრწოლით სავსე. შევძლებ კი?!.

უცნაური სიმსუბუქით სავსე სხეულმა ვერ შემუსრა ბილიკზე მწვანედ ნახავედრები ხალიჩა... ეკალთა ბარიერიც უმალ განერთხა მიწას. გადავდგი ნაბიჯი ვიწრო, ეკლიან, მგზავრდანატრებულ ბილიკზე და მუხლი მოვიყარე: „ღმერთო, განმწმინდე მე ცოდვილი, რამეთუ არა მიქმნიეს კეთილი წინაშე შენსა, არამედ მიხსენ მე განსაცდელისაგან, და იყავნ ჩემს მორის ნება შენი, რა ძეთუ დაუსჯელად აღვიდო პირი ჩემი არა ღირსი, და ვაქებდე სახელსა შენსა წმიდასა; მამისა და ძისა, წმინდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე... ამინ“.

ბატონ მიხეილ მუშკუდიანს

ბატონო მიშა! ჩვენ წლების განმავლობაში ერთად ვიღვაწეთ რაიონში კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებისა და მომსახურების ხარისხის ამაღლებისათვის. რამდენი ხანი გასულა—თქვენ უკვე 70 წელი შეგისრულდათ, მაგრამ მაინც ჯარმაგად დგახართ სამსახურებრივი მოვალეობის პოსტზე

გულწრფელად გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს დე, ჩვენი ურიერთობა კვლავ ყოფილიყოს სალი, საქმიანი და ურთიერთდამფასებელი.

ცაგერის ფოსტის ფილიალის თანამშრომლები.

კაცი, რომელიც უყვარდათ ყველგან



ერთი წელი გავიდა მისი გარდაცვალებიდან. მართალია, ბოლოის ავადმყოფობამ დარია ხელი, გულს უჩოდა თავისი უსაზღვრო გულკეთილობით ყველასათვის კარგად ცნობილი ბიჭიკო ფანჯარაძე. მაგრამ ვინ წარმოიდგინა, თუ საკვდილი ასე ახლოს იყო ჩასაფრებული. დაჰკრა საბედისწერო წამმა და ოჯახზე, სკოლასა და სოფელზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ღვაწლმოსილმა კაცმა სამუდამოდ დახუჭა თვალი.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ბიჭიკო ფანჯარაძე 1952 წელს მშობლიურ ცაგერის რაიონში დაბრუნდა და ორბელის საშუალო სკოლაში დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. ეს ის დრო იყო, როცა სკოლა აღმავლობის გზას ადგა, მასწავლებელიც საყოველთაო სახალხო პატივისცემით იყო გარემოსილი—და ბიჭიკო ფანჯარაძეც ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ გაემართლებინა ქვეყნისა და ხალხის ნდობა—გეოგრაფიული მეცნიერების სიყვარული ჩაენერგა მოსწავლეებისათვის, შემდეგ, სიცოცხლის ბოლომდე, თავისი მშობლიური სოფლის, ლასურიაშის, საშუალო სკოლაში აგრძელებდა მუშაობას. ცხოვრება არ შეეძლო სოფლისა და სკოლის გარეშე. მემბოელი, მეგობარი, მრჩეველი, მოამაგე, ასე იცნობდა ბიჭიკოს თავისი სათაყვანებელი სოფელი. „მწამს მხოლოდ ერთი მშრომელი ხალხი, მეც მშრომელ ხალხის რიცხვში ვითვლებით“—შეეძლო ეთქვა მას, მთასავით კაცს, დიდთან, რომ დიდი იყო, პატარასთან—პატარა, მაგრამ ყველასათვის თანაბრად სასურველი და საყვარელი. უყვარდათ ბიჭიკო იმ სითბოსა და სიკეთისათვის, რომელსაც ასე უხვად ამუქებდა. მოსწონდათ და ეამაყებოდა მისი ადამიანობა, კაცურკაცობა, მეგობრებისა და მოსწავლეების მიმართ გამოჩენილი ყურადღება და მზრუნველობა, ამიტომაც უჭირთ, მართლაც ძალზე უჭირთ დაჯერება, რომ აღარ არის ბიჭიკო ფანჯარაძე, ვინც თავისი წასვლით უსაზღვრო მწუხარება დაუტოვა ყველას, ოჯახს, სოფელსა და სკოლას.

მაღალი კულტურა, ფართო განათლება, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება და ახალგაზრდობის სიყვარული ხელს უწყობდა მას, ყოფილიყო შესანიშნავი მასწავლებელი, აღმზრდელი და მოქალაქე. ყველგან, სადაც მოღვაწეობდა, განსაკუთრებულ სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა მოსწავლე ახალგაზრდობას შორის, რომლებიც მარადის მოწიწებით შეინახავენ მის ნათელ ხსოვნას.

ამხანაგების ჯგუფი

დამფუძნებლები: რაიონული გამგეობა და ფირმა „თაკვერი“

რედაქტორი აკაკი ჩიქოვანი

თავისუფალი გაზეთი
ქ. ცაგერი რუსთაველის 69. ტელ. 20-05

რეგისტრაციის № 222

გაზეთი კომპიუტერზე მოამზადა და ოფსეტური წესით დაბეჭდა ქუთაისის გალაკტიონ ტაბიძის სახელობის საჯარო საზოგადოება „სტამბაში“
ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. 33
☎ 6-07-80, 6-34-99, 6-37-79